

უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია

 გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

რექტორის ბრძანებით 01-01/20
28.03.2018 წ.



უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია

შესავალი

გთუნი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონიის დიდი ქარტიითა (Magna Charta) და ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით და თანმიმდევრულად ზრუნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის.

გთუნისთვის ინტერნაციონალიზაცია არის საშუალება, მეთოდი და მექანიზმი, რომლითაც შიდა განვითარების პროცესი დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემებს. ის კომპლექსური ცნებაა და გულისმობს მთელი ინსტიტუციის (მისი პროგრამების, კურსების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თვალთახედვის, გარემოს, მომსახურების) ინტერნაციონალიზაციას; NAFSA (Association of International Educators) მიერ გაანალიზებულია საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის 2017 წლის შედეგები და მათ საფუძველზე პროგნოზირებულია შემდეგი ტრენდები:

1. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების რაოდენობის მკვეთრი ზრდა ევროპის უნივერსიტეტებში;
2. აზიის, როგორც მნიშვნელოვანი მოთამაშის როლის სწრაფი ზრდა არა მარტო სტუდენტთა გაზრდის, არამედ მიღების თვალსაზრისითაც;
3. უნივერსიტეტები მეტად ფოკუსირებულები ხდებიან სტუდენტთა მრავალფეროვნებაზე;
4. უნივერსიტეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პასუხისმგებლიანი ვებგვერდების შექმნას;
5. მონაცემთა დიდი ბაზა ხელს უწყობს უნივერსიტეტებს მარკეტინგული ატივობების ზრდას;
6. ცვალებადია პროგრამების/დისციპლინების პოპულარობის ტრენდი;
7. გაიზრდება სტუდენტთა მოზიდვაში ჩადებული ინვესტიციები;
8. წვდომის ალტერნატიული ხერხები უფრო და უფრო პოპულარული გახდება უნივერსიტეტებისთვის, რომელნიც მკაცრად ფოკუსირებულები არიან ინტერნაციონალიზაციაზე.

ინტერნაციონალიზაცია გთუნის 2017-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთერთი ძირითადი პრიორიტეტი და სტრატეგიული მიზანია (N3) რაც მოიცავს კომპლექსურ ქმედებებს შემდეგი მიმართულებით:

1. საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთ-უნის ცნობადობის და ავტორიტეტის ამაღლება ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით;
2. სტუდენტთა მომზადება აქტიურობისთვის გლობალიზებულ გარემოში;
3. უცხოურენოვანი, მათ შორის ერთობლივი, პროგრამების, მოდულების, კურსების მომზადება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შექმნილი სამოქმედო გეგმა (2017-2020) ითვალისწინებს უკვე 2018-2019 სასწავლო წლიდან ქმედითი ღონისძიებების დაწყებას, პირველ ეტაპზე, უცხოურენოვანი მოდულების/კურსების შექმნით და/ან უცხოელი სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის პირობების შექმნით, მათი შეთავაზებით და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებით.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ზემოაღნიშნული ტრენდების გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისთვის და გულისხმობს გთუნის მომზადებას უცხოელი სტუდენტების მოზიდვის და მათი მომსახურების მიმართულებით.

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

გთუნის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია: ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებით და სააკრედიტაციოდ წარდგენა 2019-2020 წლისთვის; ინგლისურენოვანი პროგრამის მომზადება ჟურნალისტიკის მიმართულებით და სააკრედიტაციოდ წარდგენა 2020-2021 წლისთვის; ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მომზადება ტურიზმში და სააკრედიტაციოდ წარდგენა 2020-2021 წლისთვის (ძირითად პარტნიორებად მოაზრებულია გერმანიის ინგოლშტატის უნივერსიტეტი და/ან იტალიის EURAC - ევროპული კვლევის აკადემია); 30 კრედიტიანი მოდულის მომზადება სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში 2019-2020 წლისთვის.

გთუნი გეგმავს, რომ მომზადებული შეხვედეს აღნიშნული ზემოაღნიშნულ ეტაპს, რათა წინასწარ გაითვალისწინოს პასუხისმგებლობები, რაც (აკრედიტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში), საერთაშორისო პროგრამების განხორციელებას და უცხოელი სტუდენტების მიღებას სდევს თან.

1. პასუხისმგებლობების განსაზღვრა უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მიღებაზე

- გთუნი დაინტერესებულია პროფესიულად განახორციელოს სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგია და აპლიკანტების მიღება;
- პასუხისმგებლობა უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მიღება გთუნის საერთო პასუხისმგებლობაა, რაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს, მათი ფუნქციური უფლება-მოვალეობების ფარგლებში;

2. საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების პასუხისმგებლობა

- ურთიერთობების მენეჯმენტი გთუნის სტრუქტურულ ერთეულებს, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს, პერსპექტიულ სტუდენტებს/ აპლიკანტებს და საჭიროების შემთხვევაში, მესამე მხარეს (სააგენტოები) შორის;
- ფაკულტეტის პერსონალის ინსტრუქტირება უცხოელი სტუდენტის მოზიდვისა და მიღების შესახებ;
- ტრენინგების ჩატარება სტუდენტის მოზიდვისა და მიღების პროცესში ჩართული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, სხვადასხვა უნივერსიტეტის საუკეთესო გამოცდილების გავრცელება და სხვა;
- გთუნის სტრატეგიის, ეროვნული საგანამანათლებლო პოლიტიკის, რეგულაციებისა და სხვა საჭირო დოკუმენტების მიწოდება პოტენციური უცხოელი სტუდენტის, ან წარმგზავი უსდა ან სააგენტოსათვის;
- უცხოელი პოტენციური სტუდენტების ინფორმირება საქართველოში ცხოვრების პირობების შესახებ;
- საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების ტაქტიკის შემუშავება.

3. ფაკულტეტის პასუხისმგებლობა

- განსაზღვროს აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები და შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- პოტენციური სტუდენტებისათვის უზრუნველყოს სანდო, დაზუსტებული და რელევანტური ინფორმაციის მიწოდება შეთავაზებულ მოდულებთან/კურსთან/პროგრამასთან დაკავშირებით, სელექციის წესთან, შეფასების კრიტერიუმებთან და მიღების პროცედურასთან დაკავშირებით;
- გააცნოს პერსპექტიულ სტუდენტებს აკადემიური გადაწყვეტილებები და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს მათთან უკუკავშირი;
- მიღების პროცესში ჰქონდეს აპლიკანტთან მუდმივი კომუნიკაცია (ელექტრონული მიმოწერა, ინტერვიუები, სკაიპი, სავიზიტო დღეები ან სხვა ფორმები);

- უზრუნველყოს მიღების პროცედურის გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

4. ინფორმაციით უზრუნველყოფა

- გთუნი დაინტერესებულთა პოტენციური უცხოელი სტუდენტისთვის დროული, ზუსტი და ადეკვატური წინასწარი ინფორმაციის მიწოდებით;
- გამოხატავს მზაობას დაეხმაროს პოტენციურ უცხოელ სტუდენტს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში;

5. ინფორმაციის სიზუსტე, სარწმუნოობა, დეტალურობა, გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და დროულობა

- გთუნი მთელი მომზადებული და გავრცელებული ინფორმაცია უნივერსიტეტის, პროგრამის, მოდულის ან კურსის შინაარსის, სტრუქტურის, ხანგრძლივობის, ლიტერატურის, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, სწავლის საფასურის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების და სხვა, შესახებ იქნება ზუსტი, სარწმუნო, დეტალური, ხელმისაწვდომი და დროული;
- ზემოაღნიშნული ინფორმაცია პოტენციურ სტუდენტებს მიეწოდებათ პროგრამის, მოდულის, კურსის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე;
- ინფორმაცია პროგრამის, მოდულის ან კურსის და სტუდენტთა გამოცდილების შესახებ იქნება გამჭვირვალე;
- ინფორმაცია სტუდენტთა შერჩევისა და მიღების პროცედურების, შესახებ იქნება გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი;
- მომზადდება/განახლდება ინფორმაცია ვებ-გვერდისთვის;
- მომზადდება/განახლდება ბროშურები პროგრამის, მოდულის, კურსის შესაბამისად;
- განხორციელდება ციფრული კომუნიკაცია;
- მოეწყობა ღია კარის დღეები;
- გთუნი გააგრძელებს და უფრო გააფართოებს განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის არეალს და ჩაატარებს სხვადასხვა საპრომოციო აქტივობებს;

6. მესამე მხარის მონაწილეობა

- სტუდენტების მოზიდვის და მიღების მიზნით, გთუნი გამოიყენებს პროექტის „Studying Georgia” შესაძლებლობებს;
- სტუდენტების მოზიდვის და მიღების მიზნით, საქიროების შემთხვევაში, გთუნი მიმართავს საქართველოს და საერთაშორისო სააგენტოებს, მათი გამოცდილების და რეპუტაციის გათვალისწინებით;
- ISET-ის კვლევის თანახმად (1.2017) საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებულ რეკრუტირების სააგენტოებს იყენებს. ამ ინფორმაციას ადასტურებს უცხოელ სტუდენტთა ონ-ლაინ გამოკითხვაც, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 30%-მა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივაზე ინფორმაცია სწორედ მსგავსი სააგენტოებიდან მიიღო;
- სააგენტოს შერჩევა მოხდება ერთობლივი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებით.

7. უცხოელი სტუდენტისთვის სწავლის უფლების უზრუნველყოფა

- უცხოელი სტუდენტისთვის სწავლის უფლება უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მოქალაქისთვის სწავლის უფლების მინიჭების მოქმედი წესის შესაბამისად.

ნაწილი II.

უცხოელი სტუდენტების მოზიდვის (რეკრუტირებას) გეგმა

1. უცხოელი სტუდენტების რეკრუტირებას მიზნები

- ხანგრძლივადიან პერსპექტივაში, უცხოელი სტუდენტების რეკრუტირებას მიზანია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემდგომი განვითარება, სწავლებისა და მომსახურების ხარისხის განვითარება და გთუნის, როგორც ბრენდის პოპულარიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- მოკლევადიან პერსპექტივაში უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში, აგრეთვე განავითაროს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები;

2. უცხოელი სტუდენტების რეკრუტირებას ამოცანები:

- მისაღები კონტიგენტის და ქვეყნების (ფოკუს-ჯგუფების) განსაზღვრა;
- გთუნის პოპულარიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია ქვეყნების, პროგრამების მიხედვით;
- საინფორმაციო ბუჭდური პაკეტის მომზადება/განახლება;
- ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის სპეციალიზებული მიზნებისათვის.

3. მისაღები კონტიგენტი და ქვეყნები (ფოკუს-ჯგუფები):

3.1. პროგრამების წარმატებით აკრედიტაციის შემთხვევაში გთუნი გეგმავს უცხოელი სტუდენტების ქვემოთ მოცემული რაოდენობის მიღებას პროგრამების/მოდულის მიხედვით:

პროგრამა/მოდული	სტუდენტთა რაოდენობა			
	2020 /2021	2021/2022	2022/2023	2023/2024
საბაკალავრო პროგრამა -ბიზნესის ადმინისტრირება	15	20	20	25
საბაკალავრო პროგრამა-ტურიზმი	15	20	20	25
სამაგისტრო პროგრამა-რეკრეაციული ტურიზმი		7	10	10
საბაკალავრო პროგრამა-ჟურნალისტიკა		15	15	15
სამართლის საბაკალავრო პროგრამის 30 კრედიტიანი მოდული	10	10	15	15

3.2. ქვეყნები (ფოკუს-ჯგუფები)

ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთა გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა, მიუხედავად ამისა, გთუნი მარკეტინგულ აქტივობებს წარმართავს შემდეგი ქვეყნების (ფოკუს-ჯგუფების) მიმართულებით:

- ინდოეთი;
- აზერბაიჯანი;
- სომხეთი;
- ერაყი;
- ნიგერია;

- თურქეთი;
- რუსეთი;
- ირანი*

ეს მიდგომა გამყარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით მომზადებული დოკუმენტით „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი-უცხოელი სტუდენტები საქართველოში“ (მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი -ICMPD, 2017), რომლის თანახმად საქართველოში უცხოელ სტუდენტთა 90% სწორედ ამ ქვეყნებიდანაა. ამასთან, იმავე წყაროზე დაყრდნობით, აზერბაიჯანის, ერაყის, ინდოეთის და ნიგერიის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო თურქეთის და რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა შედარებით სტაბილურია. (*შენიშვნა-ირანი ზემოთ ნახსენებ კვლევაში არ გვხვდება, თუმცა სხვადასხვა უნივერსიტეტის გამოცდილებით, ამ ქვეყნის მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა გვხვდება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში).

იმავე წყაროზე დაყრდნობით, გაზრდილია მოთხოვნა ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამებზე.

4. გთუნის პოპულარიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია ქვეყნების, პროგრამების მიხედვით

4.1. გთუნის პოპულარიზაცია და რეკრუტირება ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით

- ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის გაუმჯობესება და გამდიდრება განყოფილებებით/ჩანართებით და ინფორმაციით: Scholarships, Alumni/Testimonials, Student life, Professors, Partners, Accreditation, და სხვა;
- განყოფილების For Applicants დამატება და მისი შინაარსისადმი მაღალი მოთხოვნის დამკვიდრება;
- Apply Online ფუნქციის რეალიზაცია ან/და მოდულის შექმნა Inquire Us Now (სწავლების პირობები, პროგრამის არჩევა, მიღების პროცედურა, პოტენციური სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაციის მოგროვება);
- სპეციალიზებულ პორტალებზე ინფორმაციის განთავსება და ალტერნატიული ველების მოძიება გთუნის პოპულარიზაციის მიზნებისთვის;
- სოციალური ქსელების FB, Instagram, Twitter- აქტიური გამოყენება;
- Email-მისამართების ბაზის შექმნა და საიახლეებისა და სარეკლამო ინფორმაციის დაგზავნა ამ ბაზაზე, საიტის მთავარ გვერდზე “Subscribe” მოდულის შექმნა ბაზის შევსების მიზნით;

4.2. რეკრუტირება ე.წ. მესამე მხარის მეშვეობით

- თანამშრომლობის განვითარება რეკრუტირებას სააგენტოებთან;
- რეკრუტირება არსებული ინსტიტუციური კავშირების, პარტნიორების ქსელის მეშვეობით;
- ტურისტულ ოპერატორებთან თანამშრომლობის ახალი მიმართულების განვითარება „საგანამანათლებლო ტურიზმის“ სახით და მათთვის გთუნის პრომო-მასალის მიწოდება;
- პრომო-მასალა პერიოდულად გადაიხედება და განახლდება.

5. მედია-პაკეტის მომზადება/განახლება

- გთუნის ორენოვანი ბროშურის განახლება ფოკუსით საერთაშორისო პროგრამებზე;

- ინგლისურენოვანი ბროშურის შექმნა Study at GTUNI, Tbilisi, Georgia, რომელშიც ასახული იქნება: უცხოურენოვანი პროგრამების სტრუქტურა და ძირითადი კურსები, მიღების წესი, დიპლომის აღიარების წესი, კარიერული პერსპექტივები, საფასური, სტუდენტურის ცხოვრება და სხვა.
 - შემდგომ ეტაპზე მომზადდეს ე.წ. International Student Handbook.
- 6. ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის სპეციალიზებული მიზნებისათვის.**
- ფაკულტეტზე Academic Advisor (აკადემიური კონსულტანტი) პოზიციის შემოღება, რომლის ფუნქცია იქნება დახმარება გაუწიოს უცხოელ აბიტურიენტს/პოტენციურ სტუდენტს პროგრამის შერჩევასა და ინდივიდუალური გეგმის შექმნაში;
 - ფაკულტეტზე Student Advisor (სტუდენტი კონსულტანტი) პოზიციის შემოღება, რომლის ფუნქცია იქნება მოხალისეობრივი დახმარება გაუწიოს უცხოელ აბიტურიენტს/პოტენციურ სტუდენტს სწავლა-სწავლებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების სახვადასხვა მხარესთან დაკავშირებით.
- 7. გთუნის პოპულარიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის რესურსული უზრუნველყოფა**
- გთუნის პოპულარიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია და რეკრუტირებას გეგმის რეალიზაცია საჭიროებს სათანადო რესურსულ უზრუნველყოფას;
 - ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილი იქნება იქნება ე.წ. ციფრული მარკეტინგისა და სოციალური მედია-მარკეტინგის სფეროში;
 - მასალის მომზადების მიზნებისთვის გამოყენებული იქნება უცხო ენების ცენტრის თანამშრომელთა რესურსი;
 - მასალის დაბეჭდვის თანხას უზრუნველყოფს გთუნის ბიუჯეტი;
 - მასალის ქსეროასლების მომზადება უზრუნველყოფილი იქნება გთუნის სპეციალისტის მიერ გთუნის საკუთრებაში არსებული ქსეროქსის რამდენიმე აპარატებით;
 - რეკრუტირებას წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის სისწრაფესა და ხარისხს, აგრეთვე სხვა ტექნიკური ამოცანების ეფექტიან შესრულებას, რისთვისაც გთუნის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება საჭიროებს ერთი საშტატო ერთეულის დამატებას (სპეციალისტი/მენეჯერი), გთუნის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ანაზღაურებით;
 - ინტერნაციონალიზაციის მიზნების პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელებისა და შემდგომ ეტაპზე უცხოელი სტუდენტების რიცხვის ზრდის შემთხვევაში, ფაკულტეტებზე შეიქმნება თითო ანალოგიური საშტატო ერთეული;
 - ინტერნეტ კომუნიკაციისთვის გთუნი უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის ტექნიკური ბაზით.

გამოყენებული წყაროები:

1. მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“, 2017;
2. International Student Recruitment Practices - AACRAO. 2015. pdf (www.aacrao.org/.../international-student-recruitment-pra...)
3. International Student Recruitment Agencies. A Guide for Schools, Colleges and Universities. NACAC- National Association for College Admission Council. 2016. Pdf.
4. International Student Recruitment: Methods and Strategies | NAFSA (www.nafsa.org) 2017. ...
5. International student recruitment policies and developments in selected countries - Nuffic. 2012. (<https://www.nuffic.nl/.../international-student-recruitment>.)
6. Trends in Higher Education Marketing, Recruitment, and Technology. 2014 (www.hanoverresearch.com/.../Trends-in-Higher-Educati...)